22/03/2020

“საკვირაო წირვა ჩატარდება იმ რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც დისტანციის დაცვას გულისხმობს”

ზიარების წესთან დაკავშირებით არ არის მოსალოდნელი ახალი მსჯელობა, – ამის შესახებ დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ხვალ საკვირაო წირვა ჩატარდება იმ რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც დისტანციის დაცვას გულისხმობს.

“ჩვენ როცა ვისმენთ დაავადების გავრცელების ახალ გარემოებებს, ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი კომპონენტი, რომელიც გასათვალისწინებელია და მაინცდამაინც ზიარების წესზე ყურადღების გამახვილება არ არის სწორი. საკვირაო წირვა ჩვეულებრივად ჩატარდება ამ რეკომენდაციების შესაბამისად, რომ დისტანცია დაიცვან. ალბათ, ძალიან რთულია ერთ დღეში ყველას ყველაფერი გავაგებინოთ, მაგრამ ამაზე ვიზრუნებთ, რომ მრევლს ავუხსნათ დისტანცია დაიცვან, როცა მსახურებაზე მოვლენ. ეს ზომა მიღებულია გარკვეული მიზნის მისაღწევად. ეს გულისხმობს დისტანციის დაცვის საშუალებას. როდესაც ადამიანები არიან შეკრებილი

და სრულიად ალოგიკურია, რომ 20 და 2000 კვადრატულ მეტრში ერთი და იგივე ადამიანების რაოდენობაზე იყოს საუბარი. მიზანი არის, რომ გავითვალისწინოთ ის რეკომენდაციები, რომელიც მივიღეთ ჩვენ დაავადებათა კონტროლის ცენტრისგან, რომ დისტანცია იყოს დაცული ადამიანებს შორის. ეს თუ მიიღწევა ვფიქრობ, რომ არც ღვთისმსახურებას შეეშლება ხელი და არც რეკომენდაციას დავარღვევთ," – განაცხადა ჯაღმაიძემ.

— dogma.ge